

გოჩა ჯეირანაშვილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	5
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	6
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	6
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	7
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	10

2002-2007 წლებში კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოში უფროსი ინსპექტორის, გამომძიებლის და უფროსი გამომძიებლის პოზიციაზე, 2007-2009 წლებში კი იყო სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი. 2009 წელს გოჩა ჯეირანაშვილი დაინიშნა წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, თუმცა იმავე დღეს მივლინებული იქნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, ხოლო 2 თვეში განწესდა ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, სადაც მუშაობდა 2018 წლამდე. 2018 წლის 18 იანვრიდან კანდიდატი უვადოდ არის განწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

სამართლებრივი საკითხი: სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თანამშრომელთა მიერ პატიმართა წამება, დამამცირებელი მოპყრობა

ფაქტები: 2019 წლის 22 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა ციხეში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმე, რომელიც ეხებოდა 2012 წლამდე სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში ჩადენილ ფაქტებს.

საქმის მნიშვნელობა: არაერთი წყაროს თანახმად, 2012 წლამდე პერიოდში საქართველოს სასჯალაღსრულების დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა წამების და არაადამიანური მოპყრობის სისტემურ დანაშაულს.[1] სახელმწიფო და სამართალდამცავი უწყებები ამ დანაშაულებზე ადეკვატურად არ რეაგირებდნენ, დამკვიდრებული იყო დაუსჯელობის განცდა.[2]

გადაწყვეტილება:

- სასამართლოს განმარტებები – ქმედების სამართლებრივი შეფასება, მტკიცებულებათა სტანდარტი, რელევანტურობა და საქმესთან შემხებლობა, ქმედების სამართლებრივი ანალიზი დასაბუთებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით, ასევე მითითებულია ევროსასამართლოს პრაქტიკაც. **თუმცა, განაჩენში ნაკლებად ვხვდებით მსჯელობას დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით.**

შენიშვნა: სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, განაჩენის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთანავე, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის **მოტივი, მიზანი და შედეგი**. მოტივი და მიზანი ასევე მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნის დროს.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებში მოტივსა და მიზანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ აქ გადის ზღვარი წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს შორის. წამებას, არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, აქვს სპეციფიკური მიზანი: პირის დასჯა ან/და მტკიცებულებების (მაგ. აღიარებითი ჩვენების) მოპოვება.

---

[1] **იხ. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა, თბილისი 2014 ; https://osgf.ge/files/2014/publications/OSGF_Report_GEO_PRINT.pdf**

[2] **იხ. სახალხო დამცველის ანგარიში, 2010 წელი; https://bit.ly/31N60jR**
იხ. სახალხო დამცველის ანგარიში , 2011 წელი ; https://bit.ly/2ZasCJz

- მტკიცების სტანდარტზე საუბრისას, მოსამართლე ამბობს შემდეგს: **„...შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების სტანდარტი არაა სავალდებულო იყოს აბსოლუტურად სარწმუნო, თუმცა უნდა აკმაყოფილებდეს შესაძლებლობის მაღალ სტანდარტს და უნდა ტოვებდეს მხოლოდ უმნიშვნელო შესაძლებლობას საპირისპიროს არსებობაში“.**

შენიშვნა: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, **ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.**

სამართლებრივი საკითხი: სასჯელის პროპორციულობა

ფაქტები: 2019 წლის 13 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის თავმჯდომარეობით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურატურის საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილში. პროკურატურა ითხოვდა მსჯავრდებულისთვის სასჯელის დამძიმებას, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა პირობითი მსჯავრი დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ანუ მის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება მისი უფლებაა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან აჩვენებს კანდიდატის მიდგომას ოჯახში ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით. ოჯახში ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული დანაშაულია.[3] ამ ტიპის დანაშაულებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებისათვის, რაც მსხვერპლ ქალებს დამატებით ბარიერებს უქმნის საკუთარი უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში.[4]

გადაწყვეტილება:

- განაჩენში მოსამართლე არ ეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია). არ არის მითითება კონვენციის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, ვალდებული არიან, **„მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს** ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით**, ამ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით. ეს სანქციები მოიცავს, სადაც მიზანშეწონილია, თავისუფლების აღკვეთასაც“.**
- ამის ნაცვლად მოსამართლემ, სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით, გამოიყენა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, კერძოდ: **„აშკარად არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდეც ამ კონსტიტუციურ დანაწესს“.**[5] მოსამართლემ მიუთითა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირის მიმართ ზედმეტად მკაცრი და დისპროპორციული სასჯელის გამოყენება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არის შეფასებადი.

---

[3] **იხ. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში (2015)**

[4] **იხ. ოჯახში ძალადობის ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები (2017)**

[5] **https://matsne.gov.ge/ka/document/view/3045482?publication=0**

- სასჯელის სამართლიანობის შეფასებისას მოსამართლემ აღნიშნა: **„დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების მოთხოვნებთან და მსჯავრდებულის პიროვნების, მის მიმართ არსებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების, ასევე დაზარალებულის ნამდვილი ნების გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას...“**

შენიშვნა: ოჯახში ძალადობის დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება სიფრთხილით უნდა მოხდეს. აღიარებულია, რომ ამ ტიპის დანაშაულით დაზარალებული პირი განსაკუთრებით მოწყვლადია დამნაშავის მიმართ და მისი შემრიგებლური პოზიცია, საჩივრის უკან გახმობა, და ა.შ. შესაძლოა, განპირობებული იყოს შიშით, საზოგადოებრივი/კულტურული წნეხით და ა.შ.[6]

ამასთან, კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს, რომ სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე მხედველობაში იღებს ბრალდებულის (და არა დაზარალებულის, როგორც ეს მიუთითა მოსამართლემ) მზაობას, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

1.2. გახმაურებული საქმეები

გაუპატიურებაში ბრალდებული მაღალჩინოსნების საქმე

კანდიდატ გოჩა ჯეირანაშვილის მიერ განხილული იქნა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდების მხარის მტკიცებით, 2009 წლის 1 იანვარს შსს ბორჯომის რაიონულ სამმართველოში პოლიციის თანამშრომლებმა დაზარალებულს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ცემის პროცესში, პოლიციის უფროსის მამუკა ხვედელიანის ბრძანებით, ორმა პოლიციელმა დაზარალებულის მიმართ განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა: გაუპატიურება.

2013 წლის 3 ივლისს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის თავმჯდომარეობით, ბრალდებულები წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.[7]

სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდების მხარეს დაზარალებულის ჩვენების გარდა, მის მიმართ პოლიციაში ცემისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მეტიც, დაზარალებულის ჩვენება გამორიცხა თვით ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილმა ექსპერტმა, რომელმაც დაზარალებულს დაზიანების კვალი ვერ აღმოუჩინა. იგივე გაიმეორა ალტერნატიულმა ექსპერტიზამაც.[8]

მოსამართლის მიღებულ გადაწყვეტილებას საზოგადოების საპროტესტო აქციები მოჰყვა. აქციის მონაწილეები გათავისუფლებული პირების კვლავ დაპატიმრებას მოითხოვდნენ და სასამართლოს არაობიექტურობაში ადანაშაულებდნენ, სასამართლოს შენობას კვერცხებსა და ცოცხებს ესროდნენ.[9]

---

6 **იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (N 33401/02) 2009.**

7 http://www.gurianews.ge/article/mtavari/mtavari-tema/11258

8 http://www.gurianews.com/article/mtavari/mtavari-tema/11572

9 http://www.tabula.ge/ge/story/72684-axalcixis-sasamartlos-shenobas-qvebi-kvercxebi-da-cocxebi-daushines

მოგვიანებით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც **„განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი, მისი ინიციატივით, არაოფიციალურ ვითარებაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორს, გივი პაპუაშვილს და ურჩია, რომ ბრალდებულებთან გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება მათი გათავისუფლების მოთხოვნით. მოსამართლის სიტყვებით, „ეს ყველასთვის კარგი გამოსავალი იქნებოდა". პროკურორმა მის ამ შეთავაზებას უარით უპასუხა", – განაცხადა საქართველოს მთავარი პროკურატურის პრეს-სამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ.**[10]

აღნიშნული განცხადების საპასუხოდ, საქართველოს უზენასემა სასამართლომ გაავრცელა განცხადება, სადაც უთითებდა, რომ მთავარი პროკურატურა სიცრუის ტირაჟირებას ახდენდა.[11]

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, გოჩა ჯეირანაშვილის გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი პროკურატურამ გასააჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომაც გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა,[12] ხოლო უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და გამამართლებელი განაჩენი ძალაში დარჩა.[13]

1.3 უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

კანდიდატი ნაკლებად იყენებს საქართველოს უზენაესი/საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეში, კანდიდატი ციტირებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა არასწორ კონტექსტში.

[10] http://sknews.ge/index.php?newsid=1907
[11] http://www.supremecourt.ge/news/id/434
[12] http://sknews.ge/index.php?newsid=2991
[13] http://sknews.ge/index.php?newsid=4179

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 2002-2004 წლებში კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილი ახალციხის შს რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ინსპექტორი იყო. 2004 წლიდან კი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროს ინსპექტორად მუშაობდა. 2005 წელს გოჩა ჯეირანაშვილი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების გამომძიებლად დაინიშნა. 2006-2007 წლებში კი ის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალციხის რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროსი გამომძიებელი იყო. 2007-2009 წლებში კანდიდატი სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად მუშაობდა.
- 2009 წლის 10 მარტიდან კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილი წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ განწესდა და იმავე დღეს მივლინებული იყო ახალციხის რაიონულ სასამართლოში. 2009 წლის 21 აპრილს კანდიდატი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა, 28 დეკემბრიდან კი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა. 2012 წლის 25 ოქტომბერს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გახდა 5 წლის ვადით. 2017 წლის 6 დეკემბერს კვლავ დაეკისრა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.
- 2018 წლის 18 იანვრიდან მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი უვადოდ არის განწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილი ნასამართლევი არ ყოფილა.
- მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადმინისტრაციული სახდელი.
- სასამართლო დავებში კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილი არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

4

- მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- 2013 წლის ივლისში მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილმა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსის და ბორჯომში პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატის მამუკა ხვედელიანისა[1] და მისი თანამშრომლების საქმეზე, რომლებსაც ბრალად მამაკაცის წამება და გაუპატიურება ედებოდათ.[2] დაზარალებულების განცხადებით, გოჩა ჯეირანაშვილი ვანო მერაბიშვილის ერთგული კადრი იყო სამცხე-ჯავახეთში.[3] პროკურატურა აცხადებდა, რომ განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი არაფორმალურ გარემოში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორს და ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება ურჩია.[4] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმდროინდელი წევრის, ევა გოცირიძის განცხადებით, ეს ჯეირანაშვილის ერთადერთი გამამართლებელი განაჩენი იყო, რაც ბევრ რამეზე მეტყველებდა.[5]

---

1 2007-2009 წლებში, გოჩა ჯეირანაშვილის სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად მუშაობის პერიოდში, მამუკა ხვედელიანი სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს ბორჯომის სამმართველოს უფროსი იყო, ხელმისაწვდომია http://bit.ly/2m2tD8u

2 ბორჯომელები ხვედელიანის გათავისუფლებას აპროტესტებენ, ხელმისაწვდომია http://bit.ly/2kOmuIL

3 მოსამართლე ჯეირანაშვილისა და გაუპატიურებაში ბრალდებული მაღალჩინოსნების „კოლეგიალური კავშირები“, ხელმისაწვდომია http://bit.ly/2m2tD8u

4 უზენაესი სასამართლო: მთავარი პროკურატურა არაზუსტ ინფორმაციას ავრცელებს, ხელმისაწვდომია http://bit.ly/2k8a0eE

5 რატომ იმყოფებოდა კუბლაშვილის მოადგილე ბრიუსელში უგულავასთან ერთად, ხელმისაწვდომია http://bit.ly/2kG2Miv

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატი არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს როგორც პერსონალური პროფილი, ისე თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. გოჩა ჯეირანაშვილის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები

საჯარო წყაროებში არ იძებნება გოჩა ჯეირანაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები.

3. კანდიდატ გოჩა ჯეირანაშვილის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როგორია თქვენი პოზიცია მარიხუანას ფაქტობრივად დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, ლიბერალური პოლიტიკის მომხრე ხართ უფრო, თუ თვლით, რომ გარკვეული კატეგორიის ნარკოტიკების მოხმარება უნდა ისჯებოდეს?“**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

გარკვეული კატეგორიების მოხმარება დღესაც ისჯება. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანაზე თქვა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არ არის, მაგრამ იქაც, რომ ხალხის თავშეყრის ადგილებში არ უნდა მოხდეს მისი მოხმარება და ა.შ და ა.შ. ანუ სახლში თუ ადამიანი მარიხუანას მოიხმარს, ამაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, არის შეზღუდვები კანონში, რომლითაც, მაგალითად, მოხმარება ხდება საჯარო ადგილზე ან მომხმარებელი მართავს ავტომანქანას, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაული იყოს. გარკვეულწილად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება შეამსუბუქა. ამ გადაწყვეტილებით სრულად რა თქმა უნდა არ თქმულა, რომ, რაც უნდა ქნას ადამიანმა მარიხუანასთან დაკავშირებით, ეს დანაშაული არ არის“.

ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„სიცოცხლის უფლება თუ ითვლება აბსოლუტურ უფლებად? თუ არ ითვლება, რატომ არ ითვლება?“**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

აბსოლუტურ უფლებად ითვლება, რადგან სიკვდილით დასჯა საბოლოო გაუქმებულია მე-13 ოქმით, როგორც მოგეხსენებათ. ასევე, აბსოლუტური უფლებაა წამების, არაადამიანური ან არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა. გარდა ამისა, ასევე აბსოლუტურია კანონის უკუქცევითი ძალის არგამოყენების პრინციპი და ხელმეორედ დასჯის აკრძალვის პრინციპი“.[1]

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა განსხვავებაა შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას შორის?“**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

მხარეთა თანასწორობა, ალბათ, მთელი პროცესის მანძილზე მიმდინარეობს, როდესაც მხარეებს პროცესი სტატუსს მიანიჭებს და თანასწორობის პრინციპი მთლიანად ამ პროცესს ეხება - როგორც მტკიცებულების მოპოვებას, ასევე მთელ რიგ გარემოებებს. შეჯიბრებითობა ძირითადად ნიშნავს (სასამართლოს გადმოსახედიდან ვამბობ), რომ სასამართლოში ადამიანს, მხარეებს თანაბარი უფლება მიეცეთ“.

ნაზი ჭანეზაშვილმა კანდიდატს დამატებით ჰკითხა: **„ეგ თანასწორობა არ არის? რა განსხვავებაა, ეს იყო ჩემი შეკითხვა“.**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

შეჯიბრებითობა... თანასწორობა უფრო კანონზე ფორმულირებაა და შეჯიბრებითობა უფრო მეტად თავად მხარის ინტერესზეა დამოკიდებული, ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ინტელექტზე“.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტით, სიცოცხლის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რაც ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია. მაგალითად, სიცოცხლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს: ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან; კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად; კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად. (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლის 2.2)

ნაზი ჭანეზაშვილის დამაზუსტებელი შეკითხვა კანდიდატს: **„ანუ თანასწორობა კანონში წერია და შეჯიბრებითობა არა? რას გულისხმობთ?“**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

არა, შეჯიბრებითობა უფრო მხარის უნარებზეა დამოკიდებული, რამდენად მოახდენს თავისი თავის რეალიზაციას და თანასწორობა უკვე კანონით გარანტირებული უფლებაა, რომ ყველა მხარე თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე.“

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რას ფიქრობთ კონსტიტუციურ ჩანაწერზე ქორწინებასთან დაკავშირებით?“**

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

ასეთი ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსშიც იყო, უბრალოდ, მოხდა ამ ჩანაწერის კონსტიტუციაში გადატანა. კონსტიტუციაში არის მითითება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. ასეთი ჩანაწერი ასევე არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაში. ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს გადაწყვეტილებები მიღებული, მათ შორის ტრანსექსუალ პირებთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო ამ საკითხს ფრთხილად უდგებოდა. თავიდან მიიჩნევდა, რომ მათი, ასე ვთქვათ, ქალად აღიარება არ შეიძლებოდა, დაბადების საოქმო ჩანაწერში ცვლილებაზე უარს ამბობდა, შემდეგ დაადგინა, რომ ეს შესაძლებელია. როგორც მახსოვს, ქრისტინ გუდვინი იყო დაკავშირებული ამ საქმესთან და ითქვა, რომ ქორწინების უფლება ირღვეოდა. ჩემი პოზიციით, კონსტიტუციის ჩანაწერი მართებულია“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მაინტერესებს თქვენი მოსაზრება სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებზე. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ანგარიშებში იწერება გავლენიანი ჯგუფის შესახებ... რატომ იწერება ამის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან ანგარიშში, რომელსაც ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ალბათ კითხულობს და ეცნობა? რა იწვევს ამას, თქვენი აზრით?“

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

არ ვიცი, რა იწვევს. ნამდვილად გაოგნებული ვარ, რატომ უნდა იყოს ასე კრიტიკულად წარმოჩენილი სასამართლო სისტემა, რომელიც ძალიან სწორად ვითარდება. შეიძლება გამოწვევები არსებობს, თუმცა, არა იმის გამო , რომ სასამართლოს გავლენიანი ჯგუფი მართავს. ჩემთვის შეურაცხმყოფელია ასეთი მიდგომა“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, ის რეგულაციები, რაც ჩვენ ახლა გვაქვს და რა პრაქტიკაც (სქესის აღიარებასთან დაკავშირებით), არის თუ არა დისკრიმინაციული? თქვენი პირადი დამოკიდებულება მაინტერესებს, თქვენ, როგორც ერთი ადამიანი, რას ფიქრობთ ამაზე?“

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

სქესის სამართლებრივი აღიარების პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ დგას. ეს, უბრალოდ, ადამიანის ძალიან შინაგანი ასპექტია და სურვილი მექნება, არ ვისაუბრო ამაზე“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლთან (სასამართლოს უპატივცემლობა) დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი მოსაზრება. როგორ განმარტავდით

როგორც მოსამართლე, როგორც იურისტი, რას ნიშნავს შეურაცხყოფა, იმ კონტექსტში, რასაც სისხლის სამართლის 366-ე მუხლი გვთავაზობს?“

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის პასუხი:

„ამ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად მაქვს ჩემი პოზიცია, თუმცა, იცით რა არის, ხვალ შეიძ-ლება დამეწეროს საქმე, რომელიც ამ მუხლით იყოს განხილული; ჩემი ასეთი წინასწარ აზრის გა-მოთქმა შეიძლება აცილების საფუძველი გახდეს ამ საკითხთან დაკავშირებით და რა ვიცი, თავის შეკავება მიწევს ამ საკითხზე საუბრისგან“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

2010
ბინა ახალციხეში
51 040 ₾
(70 კვ.მ.)

2018
ავტომანქანა
21 900 ₾

მეუღლე:

2017
ბინა თბილისში
52 000 ₾
(41.6 კვ.მ.)

2016
ბინა ადიგენში
29 083 ₾
(28.9 კვ.მ.)

2014
ბინა თბილისში
82 250 ₾
(71 კვ.მ.)

2018
ავტომანქანა
9 100 ₾

2. ფინანსები

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების შედეგად, 2009-2018 წლებში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 571,493 ლარი. პარალელურად 2011 წლიდან აკადემიურ საქმიანობას ეწევა ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, საიდანაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 4850 ლარი. მოსამართლის მეუღლე მაია ფაჩულია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ახალციხის საჯარო სკოლაში და 2010 წლიდან დღემდე შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 15,128 ლარი.

მიმდინარე სესხი: მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილს რამდენიმე მიმდინარე სესხი უფიქსირდება. კერძოდ, ექვსი მიმდინარე სესხი, რომელთა რაოდენობა ჯამში 340,700 ლარს შეადგენს. 2018 წლის მონაცემებით დაფარული აქვს 76,413 ლარი.



მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის ქონებრივი დეკლარაციის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ბოლო წლების მანძილზე, მოსამართლის მიერ აღებული სესხების, ისევე როგორც დანახარჯების, რაოდენობა გაიზარდა წინა წლების მაჩვენებელთან შედარებით. საინტერესოა 2018 წლის მონაცემები, რადგან დეკლარაციის მიხედვით, ამ პერიოდში მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის შემოსავალსა და გასავალს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი ფიქსირდება. 2018 წელს მოსამართლის შემოსავალმა, რომელიც შრომის ანაზღაურების სახით მიიღო, 83,499 ლარი შეადგინა, ამავე წელს სესხის სახით 355,480 ლარი მიიღო, ჯამში 438,978 ლარი, ხოლო დანახარჯი 543,731 ჰქონდა. შესაბამისად, დანახარჯი 104,752 ლარით აღემატება მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის შემოსავალს.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მ ო მ ზ ა დ ე ბ ულ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღ ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ს მ ი ე რ